

სტუდენტის შეფასება

ბსუ-ში გამოიყენება სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = \sum GP \times CR / \sum CR$, სადა GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტს.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში/მოდულში მიღწეული სწავლის შედეგები ფასდება მისი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე.)

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა.

შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს:

შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;

მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა:

ა) წერით გამოკითხვებს (წერითი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსიდა სხვ.)- მაქსიმუმ 30 ქულა;

ბ) ზეპირ გამოკითხვებს(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.)- მაქსიმუმ 20 ქულა;

გ) შეფასების სხვა სახის მეთოდს (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვ.) - მაქსიმუმ 15 ქულა;

შეფასების სხვა სახის კომპონენტს (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.)- მაქსიმუმ 15 ქულა;

დასკვნითი შეფასების ფორმბია:

ა) დასკვნითი გამოცდა;

ბ) სხვა სახის შეფასება;

შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) ერთჯერადი წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) ერთჯერადი ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით;

რეკომენდირებულია საგამოცდო ბილეთი იყოს კომბინირებული (მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის თემებს, კითხვებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია და დახურულ ტესტებს და სხვა) და ჩატარდეს წერითი ფორმით;

პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ ნაშრომის შემთხვევაში შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის შესაძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებისაგან განსხვავებული კომპონენტების გამოყენება;

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის

შემთხვევაში - 21 ქულა);

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა);

სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში, რომლის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;

ბ) დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობა;

ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = \frac{\sum GP \times CR}{\sum CR}$, სადა GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტს (დანართი 2).